ნანა შარიქაძე
ლუნდის უნივერსიტეტი, შვედეთი

2-6 ნოემბერს, კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი და საქართველოს შემსწავლელი საერთაშორისო კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი ნანა შარიქაძე Erasmus+ აკადემიური პერსონალის მობილობის ფარგლებში შვედეთში, ლუნდის უნივერსიტეტში იმყოფებოდა, სადაც საერთაშორისო კვირეულის პროგრამაში მიიღო მონაწილეობა.

მობილობის ფარგლებში ნანა შარიქაძემ სხვადასხვა აკადემიურ და პროფესიულ აქტივობაში მიიღო მონაწილეობა.

პროგრამის ფარგლებში, მალმოს მუსიკის აკადემიაში მან ჩაატარა სემინარი თემაზე „Artistic Citizenship - When Art Becomes a Civic Voice“, რომელიც ხელოვნების, როგორც სამოქალაქო ხმისა და საზოგადოებრივი ჩართულობის ფორმის, როლს დაეთმო.

ასევე შეხვდა რუკარის ხელმძღვანელს, მიშელ ანდერლინისს. შეხვედრაზე მხარეებმა კვლევითი მიმართულებით სამომავლო თანამშრომლობის გეგმები განიხილეს და კონკრეტულ საკითხებზე შეთანხმდნენ.

გარდა ამისა, EU Days Lund-ის ფარგლებში, პროფესორი მონაწილეობდა პანელურ დისკუსიაში „EU as a Symbolic Power“, სადაც ევროკავშირის სიმბოლური ძალისა და მისი მნიშვნელობის შესახებ გამართულ დისკუსიაში ჩაერთო.

Erasmus+ აკადემიური პერსონალის მობილობა ხელს უწყობს საერთაშორისო აკადემიური კავშირების გაღრმავებას, გამოცდილების გაზიარებასა და კვლევითი თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობების განვითარებას.